

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალი მურადოვი ალგეთის
ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული

19.09.2019 წელი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ალი მურადოვი ,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე,რომან
ტაბატაძე, გივი გიორგაძე.

სხდომას ესწრებოდა- ალგეთის ადმინისტრაციული ერთეულის
სოფლების:ალგეთის,საბირქენდის,თაზაქენდის,აზიზქე
ნდის და გაჯისაქენდის მოსახლეობა,ასევე
საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწეები ელშან
ჰასანოვი და ანარ გადიმოვი, მარნეულის მაჟორიტარის
პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს
უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული
განყოფილების სპეციალისტი შერმადინ
ბოჭოიძე,აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან,
არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და
გენდერული საკითხების განყოფილების
სპეციალისტი არჩილ მდივნიშვილი ,მარნეულის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის
სპეციალისტები გაბილ ხალილოვი და გიორგი
ჩაჩანიძე

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ალგეთის
ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ალი მურადოვის
ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით,
მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა,ალგეთის
ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ალი მურადოვმა
ალგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების

(ალგეთი,საბირქენდი,თაზაქენდი,აზიზქენდი, გაჯისაქენდი)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ალგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.ადინიშნა,რომ მიმდინარე წელს სოფელ ალგეთში განხორციელდა საბავშვო ბაღში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა,გზების მოხრეშვა და გარე განათების მოწყობის სამუშაოები განხორციელდა.სოფელ საბირქენდში სასაფლაო შემოიღობა.სოფელ თაზაქენდში (ალგეთის) ინვენტარის შესანახი ოთახი აშენდა.სოფელ აზიზქენდში არსებული სარწყავი მილმდენის სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდა,ასევე გაკეთდა გარე განათება.სოფელ გაჯისაქენდში გარე განათების მოწყობა განხორციელდა.

აზრი გამოთქვეს:მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი ალგეთის მაცხოვრებლებს : არ მოდის წყალი,ამიტომ ახალი ქსელის მოწყობა,შიდა სარწყავი არხების გაწმენდა,შიდა ქუჩების მოასფალტება,ტრამპლინი ცენტრალურ გზებზე.

სოფელი საბირქენდის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სასმელი წყლის რეაბილიტაცია(ნახევარი სოფელი არ იღებს წყალს, გამრიცხველიანებაა საჭირო) სკოლის მშენებლობა,შიდა გზების მოასფალტება,გარე განათება,სარწყავი წყლის რეაბილიტაცია(სწორად დაგეგმვაა საჭირო,არხები გაიწმინდა მაგრამ შედეგი არ არის,წყალი არ მოდის,ლომთაგორის მეურნეობიდან შეგვიძლია მოვიყვანოთ).

სოფელი თაზაქენდის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად;სასმელი წყლის რეაბილიტაცია(წნევა არ არის,რომ ყველა სოფელში შევიდეს,სახლების უმრავლესობაში არ მიდის,ქსელი ყველგან არის,მრიცხველებიც ახალია,ცენტრალურიდან რაც მოდის ის ქსელია დაზიანებული),მისასვლელი გზის მოასფალტება,სარწყავი წყლის რეაბილიტაცია(დამბების,შლუზების მოწყობა გვინდა. არხი როცა გაარემონტეს, მაშინ დაანგრიეს შლუზები.)

სოფელი აზიზქენდის მოსახლეობამ სოფლის პრობლემათა ჩამონათვალში სარწყავი არხების რეაბილიტაცია,გარე განათების მოწყობის დასრულება,სასმელი წყლის რეაბილიტაცია(ორი დღე არის,ორი დღე არა,ტექნიკური წყალია. გრაფიკა-წნევა არ ყოფნის)

სოფელი გაჯისაქენდის მოსახლეობამ სოფლის მთავარ პრობლემად: სკოლის გახსნა დაასახელა (სკოლა დახურეს ოპტიმიზაციის გამო,შენობა ნორმალურ მდგომარეობაშია, 100- მდე მოსწავლეა სოფელში),მისასვლელი გზის მოასფალტება სკოლამდე,მინი მოედანი და გარე განათების დამონტაჟება დაასახელა.

გადაწყვეტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ალგეთის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის ალი მურადოვის გაწეული მუშაობის ანგარიში.